საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 12 დეკემბერი
დადგენილება № 1013

2013-2014 სასწავლო წლის ოქტომბრის,
ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ს
ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის
სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 12 ნოემბრის N885 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებისთვის 2013 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო 639 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2012-2013 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით, შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებენ შემდეგით:
   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81% და მეტს;
   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 91% და მეტს;
   - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე–3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.
5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე